

## პრესრელიზი



### სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU) საქართველოში და საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი (GIG) პარტნიორები გახდნენ

31 მარტს „ევროპულ სკოლაში“ მხარეებმა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU) საქართველოში და საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი (GIG) შეთანხმების ტანახმად, GIG გამოყოფს ოთხწლიან სრულ დაფინანსებას ევროპული სკოლის კურსდამთავრებულთათვის, რომლებიც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისოდ აკრედიტებულ საბაკალავრო პროგრამებზე წარმატებით ჩაირიცხებიან.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანმა- საქართველოში დოქტორ კენ უოლშმა და „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ გელენიძემ. „ევროპულ სკოლაში“ გამართულ ღონისძიებას „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელი დავით ბეჟუაშვილი და „MILLENNIUM CHALLENGE CORPORATION“ (GEORGIA) საქართველოს ოფისის გენერალური დირექტორი ჯენერ ედელსონი დაესწრო. ევროპული სკოლის სტუმრები იყვნენ ასევე, სან



## პრესრელიზი

დიეგოდან ჩამოსული მორაგბეების ჯგუფი, რომელიც საქართველოში ამხანაგურ თამაშს გამართავს ქართველ რაგბისტებთან.

„მემორანდუმის მიზანია, ამერიკული საბაკალავრო პროგრამები ხელმისაწვდომი გავხადოთ რაც შეიძლება მეტი მოსწავლისთვის საქართველოში. გვიხარია, რომ კერძო სექტორი დაინტერესდა და მონაწილეობს ახალი თაობისთვის უკეთესი მომავლის შექმნაში,“ - განაცხადა დოქტორმა უოლშმა.

თავის მხრივ დავით ბეჟუაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი სოციალურ პასუხისმგებლობად აღიქვამს იმ ნიჭიერი სტუდენტების მხარდაჭერას, რომელთაც ექნებათ სურვილი ცოდნას დაეუფლონ საინჟინრო და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებებით, ასევე, კომპანიას მიაჩნია, რომ ქვეყნის ინდუსტრალიზაცია და ეკონომიკური წინსვლა შეუძლებელი იქნება ადამიანური კაპიტალის განვითარების გარეშე.

2017 სასწავლო წელს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებს სამშენებლო ინჟინერიაში, სამოქალაქო ინჟინერიაში, კომპიუტერულ მეცნიერებებში, კომპიუტერულ ინჟინერიაში, ელექტრულ ინჟინერიაში და ქიმია/ბიოქიმიაში. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, ერთი სემესტრით ან ერთი წლით სწავლა განაგრძონ SDSU-ს კალიფორნიის კამპუსში.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU), ასწლიანი ისტორიის მქონე ამერიკული უნივერსიტეტია. ის ერთ-ერთი უდიდესი და მოთხოვნადი უმაღლესი სასწავლებელია ამერიკის შეერთებულ შტატებში - 35,000 სტუდენტით და 120 მილიონ დოლარიანი ბიუჯეტით კვლევითი საქმიანობისთვის. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს უმაღლესი განათლების კომპონენტის ფარგლებში, საქართველოში 2015 წლიდან ახორციელებს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე (ABET, ACS, WASC) საბაკალავრო პროგრამებს საინჟინრო და ტექნოლოგიურ (STEM) დარგებში. პროექტი ხორციელდება აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის ფინანსური მხარდაჭერით და მისი მიზანია საქართველოში STEM დარგების პროფესიონალთა ახალი თაობის აღზრდა და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებაში წვლილის შეტანა.

“საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი” (GIG) - 20 წლიანი გამოცდილების მქონე უდიდესი ინდუსტრიული ჰოლდინგი საქართველოში. კომპანია მსხვილი დამსაქმებელია 3000-ზე მეტი თანამშრომლით და მისი



## პრესრელიზი

კომბინირებული წლიური ბრუნვა ნახევარ მილიარდ ლარს აჭარბებს. კომპანია ფლობს დივერსიფიცირებულ ბიზნეს პორტფელს. მზარდი და მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად, კომპანია მუდმივად ცდილობს ქვეყნის

მასშტაბით მნიშვნელოვან, ეკონომიკურად გამართლებულ და მაღალი პროდუქტიულობის მქონე პროექტებში ინვესტიციების განხორციელებას.

“**ევროპული სკოლა**” 2007 წლიდან ლიდერობს საგანმანათლებლო სივრცეში. სკოლას მკვეთრად გამოკვეთილი მიზნები აქვს: მოსწავლეთა მიერ აკადემიური ცოდნის მიღებასა და თანამედროვე სამყაროში ადაპტაციისათვის საჭირო უნარების განვითარება, დამოუკიდებელი ლოგიკური აზროვნებისა და მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზის უნარის ჩამოყალიბება. “ევროპული სკოლა“ კონკურენტუნარიანია ჩვენი ქვეყნისა და ასევე მსოფლიოს შრომის ბაზარზე. მუდმივად ცვალებად სამყაროში კარგად ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და უახლეს ინფორმაციებს;გათავისებული აქვს და პატივს სცემს ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ, მორალურ და კულტურულ ფასეულობებს. ჩვენი გზა არის „ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებული ახალი გზა ევროპისკენ“. „ევროპულ სკოლაში“ ფუნქციონირებს სამი სექტორი: ქართულენოვანი სექტორი ; IB-საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა და AHS-ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამა

31.03.2017

კომპანია “ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

